პრანჭია ფეხსაცმელი და სათამაშო

ერთ ლამაზ, კოპწია სახლში ფეხსაცმელების ოჯახი ცხოვრობდა. დედა - ფეხსა, მამა - ფეხსუ, ძმა - ფეხსო და რა თქმა უნდა, პრანჭია - ფეხსე.

ფეხსეს განსაკუთრებით უყვარდა საღამო, როდესაც დედა ზღაპრებს უკითხავდა, თავად კი საყვარელ სათამაშოს ჩახუტებული დედას ყურადღებით უსმენდა. როგორც კი გათენდებოდა, ფეხსე პრანჭვას იწყებდა და თან პონთან ერთად ძმას ეთამაშებოდა. დღეში ექვსჯერ მაინც ასწრებდა გამოცვლასა და გაპრანჭვას. აბა, სხვაგვარად როგორ? ის ხომ პრანჭია ფეხსაცმელი იყო!.

ერთ დღესაც, როცა ფეხსეს მეექვსეჯერ უნდა გაეკეთებინა მაკიაჟი და თმა, საწოლს დახედა და ყვრილი მორთო. დედა და მამა ფეხსაცმელები მაშინვე შემოცვივდნენ ოთახში და შეშინებულებმა იკითხეს: - რა მოხდა?! თურმე, ფეხსეს საყვარელი პონი გამქრალიყო. ატყდა განგაში, ყველა ერთად ყვიროდა და ფეხსო, რომელიც ამ დროს შუა ძილში იყო, გაკვირვებული წამოხტა. მან ისევ სცადა დაძინება, რადგან ძილი ძალიან უყვარდა, მაგრამ ასეთ ხმაურში რაღა დააძინებდა? წამოდგა და ნახევრადმძინარე გავიდა დანარჩენებთან. როცა გაიგო რაც მოხდა, ისიც ატირდა დის გამო.

მეორე დღეს პონის საძებნელად გაემართნენ. ყველგან ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს. სახლიც გადაატრიალეს, დედა განჯინაში ჭიქებთან და თეფშებთან ეძებდა, მამა კარადაში შეძვრა, მაგრამ პონი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო.

ფეხსაცმელების ოჯახში ყველა დაღონებულიყო. უძრავად ისხდნენ და პონის დაკარგვას გლოვობდნენ. უეცრად, რაღაც ფაჩუნის ხმა მოესმათ და ჰოი, საოცრებავ! რა დაინახეს, ერთ პატარა უცხო ფეხსაცმელს პონი ჩაეხუტებინა და მოცუნცულებდა. როგორ გაიხარეს ფეხსაცმელებმა პონის დანახვით, პატარა უსუსური ფეხსაცმელი კი ძალიან შეებრალათ. როგორც ჩანს, მას არც პატრონი ჰყავდა და არც - ოჯახი. ამიტომაც თავისთან დაიტოვეს.

მას შემდეგ, ფეხსაცმელების ოჯახში ხუთი წევრი იყო: დედა, მამა, და, ძმა და ნაბოლარა ფეხსი. დიდხანს ცხოვრობდნენ ტკბილად და ბედნიერად.

ერთი დღე სხვა პლანეტაზე

ერთ დღეს ვარსკვლავეთში უცნაური პლანეტა აღმოაჩინეს. უცნაური იმით, რომ იქ ყველაზე ფერადი ბავშვები ცხოვრობდნენ. ყველას ცისარტყელას ფერის სამოსი ეცვა, ცისარტყელას ენაზე საუბრობდნენ და თავის პლანეტასაც ,,ცისარტყელას ქვეყნიერებას'' ეძახდნენ. პლანეტაზე ბევრი ფერადი სახლი, ეზო, პარკი, საცურაო აუზი და გასართობი ადგილი იყო. ცისარტყელას ფერადი სხივების ქვეშ ბავშვები ლამაზ და მხიარულ დღესასწაულებს აწყობდნენ.

პლანეტის სიმშვიდე დედამიწიდან მოფრენილმა ქარიშხალმა დაარღვია, რომელმაც მოტყუებით, მშობლების უკითხავად, ცისარტყელას ბავშვები დედამიწაზე გააგზავნა. მშობლემა დასახმარებლად ცისარტყელას პოლიციას მიმართეს და ქარიშხალი ციხეში გამოამწყვდიეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები დედამიწაზეც აგრძელებდნენ ცეკვა-თამაშს, ძალიან ენატრებოდათ მშობლები. მათ უკან დაბრუნებაში სიყვარულის პლანეტიდან მოფრენილი ფერია დაეხმარა. სიყვარულის ფერიამ სიხარულთან ერთად ბავშვებს უამრავი საჩუქარი აჩუქა და დაჰპირდა, რომ ხშირად ესტუმრებოდა მათ.

ბავშვებმა განაგრძეს ცხოვრება თავის ფერად პლანეტაზე, სადაც დღემდე ცხოვრობენ და მხიარულობენ.

ერთი დღე სხვა პლანეტაზე

იყო ერთი პატარა ბიჭი, რომელსაც ძალიან უნდოდა სხვა პლანეტაზე ცხოვრება და ამის გამო მას მარსიას ეძახდნენ. მისი ოთახი გალაქტიკას მოგაგონებდათ. მარსიას სიზმარშიც კი ესიზმრებოდა, რომ სხვა პლანეტის მაცხოვრებელი იყო.

გავიდა დრო გაიზარდა მარსია, შექმნა თავისი სამოსი, რომელიც უძლებდა ცეცხლს, ყინვას, კოსმოსში გაფრენას და მეტეორის დაცემას. მას თავისი შექმნილი სამოსი ძალიან მოსწონდა და ეხლა ხომალდის შექმნაზე მუშაობდა. მარსიამ ბევრი შრომის და დიდი დროის შემდეგ ააშენა ხომალდი, მოიყვანა მწყობრში და მოამზადა ასაფრენად.

ბიჭი გაფრინდა პლანეტაზე, რომელსაც ერქვა ,,კატის'' პლანეტა. იქ ბევრი კატა ცხოვრობდა. კატები ძალიან საყვარლები იყვნენ. ბიჭი რომ დაინახეს, გაეკიდნენ. მარსიას შეეშინდა და გაიქცა. ამის შემდეგ ის ,,ძაღლთა'' პლანეტაზე დაეშვა.

ძაღლთა პლანეტა ძალიან ლამაზი იყო. მარსია თვალებს არ უჯერებდა, ამ პლანეტაზე ყველა ძაღლი ორ ფეხზე იდგა და მანქანებით მოძრაობდა, ისინი რუსულ-ინგლისურად საუბრობდნენ. ბიჭმა ამის შემდეგ გადაწყვიტა ,,სარკეების'' პლანეტაზე წასვლა.

სარკეების პლანეტაზე რომ ჩავიდა, მარსიას იქ სარკეები კი არ დახვდა, არამედ თავად მწვანე, დიდთვალება და დიდყურება უცხოპლანეტელები. ბიჭი მიხვდა, რომ თავისი ქვეყანა ყველა პლანეტას ერჩია და სახლში დაბრუნება გადაწყვიტა.

თავის ქვეყანაში ჩასულ მარსიას ყველაფერი განსხვავებულად დახვდა: მანქანები დაფრინავდნენ, ტელეფონებს ოცი კამერა ჰქონდა, სახლებში ყველაფერი ელექტრო იყო, ზოგიერთი ადამიანი და ცხოველი რობოტი იყო. მარსია მიადგა თავის სახლს და იქ მშობლები და დები რომ დაინახა, ძალიან გაიხარა. ყველაფერი დაივიწყა და თავის ოჯახთან ბედნიერად ცხოვრება დაიწყო.

საოცრებათა ქვეყანა

ერთხელ დამესიზმრა საოცარი ქვეყანა, რომელშიც ყველაფერი კარამელისაგან იყო აშენებული: სახლები, ქუჩები, ავეჯი და ა.შ. საოცარი სანახავი იყო. ძალიან დამაინტერესა ერთ-ერთი სახლი და შიგნით შევედი. იქ მაცივარიც და საწოლიც კარამელით გაკეთებული დამხვდა.

უცებ დაიწყო წვიმა და მე უცხო ხმა შემომესმა. გარეთ გავედი და რას ვხედავ: ციდან წვიმის წვეთების მაგივრად, კანფეტები ცვიოდა. მე შუა ქუჩაში გაოგნებული ვიდექი ხალხთან ერთად.

ქუჩაში გამოჩნდნენ ბავშვები, რომლებისთვისაც ეს წვიმა უკვე ნაცნობი ამბავი იყო. მათ შემომთავაზეს ქალაქის დათვალიერება და გზას გავუდექით. მიმიყვანეს საოცარ ხესთან, რომლის ტოტებზე ფოთლების ნაცვლად კანფეტები იყო.

უცებ მომესმა ჩუხჩუხა მდინარის ხმა, ბავშვებს შევეკითხე:

-ესეც კარამელისაა?

-აბა, რა! - მიპასუხეს ერთხმად.

საოცარი სანახაობა იყო, სარკესავით ბრწყინავი მდინარის დანახვა. ბავშვებმა უამრავი კანფეტი მაჩუქეს.

გათენდა, დილით გაღვიძებულს საწოლში უამრავი კანფეტი დამხვდა.

სიზმარი იყო ეს, თუ ნამდვილი ამბავი, ვერ გეტყვით.

პრანჭია ფეხსაცმელი

იყო ერთი ფეხსაცმელი, რომელსაც ძლიან მოსწონდა თავისი თავი, ამიტომ მეგობრებმა პრანჭია შეარქვეს. ის ხან ყვავილს მიიმაგრებდა, ხან ფერად თასმებს, ხან ლამაზ სათამაშოს და თავს იწონებდა.

პრანჭიამ ერთ დღეს, გაურკვეველ ვითარებაში, თავისი საყვარელი სათამაშო დაკარგა.

ძალიან დადარდიანდა. არ იცოდა, რა ექნა. სად იყო და სად არა, მისი ძველი მეგობარი პუმა გამოჩნდა, რომელსაც პრანჭიამ სათამაშოს მოძებნაში დახმარება სთხოვა.

პუმამ არ დაიზარა, ჩართო თავისი მოხერხებულობა და ჭკუა, წასულიყო ყველგან იქ, სადაც მანამდე იყო. პრანჭია დასთანხმდა, ბევრი იარეს, ბევრ ადგილზე იყვნენ, იმედი თითქმის გადაწურული ჰქონდათ, მაგრამ რესტორანში რომ შევიდნენ, ნახეს, რესტორნის ადმინისტრატორის მაგიდაზე პრანჭიას სათამაშო იყო. პუმა ჩაუსაფრდა ადმინისტრატორს, მისი ოთახიდან გასვლისთანავე, პუმა შეხტა მაგიდაზე, ყუთიდან სათამაშო ამოიღო და პრანჭიას დაუბრუნა, რომლის გარეშე ცხოვრება პრანჭია ფეხსაცმელს ვერც კი წარმოედგინა.

ფეხსაცმელი და სათვალე

იყო ერთი ფეხსაცმელი, რომელსაც თავს სათამაშოზე უფრო მეტად არც ერთი სათამაშო არ მოსწონდა. ერთხელაც ეზოში ჩავიდა და სათვალე გაიცნო. ფეხსაცმელი და სათვალე დამეგობრდნენ.

ერთ დღეს ისინი მატარებლით ერთად წავიდნენ სხვა ქალაქში. ამ ქალაქში ზღვა იყო. მეგობრებმაც ცურვა გადაწყვიტეს. ფეხსაცმელმაც საყვარელი სათამაშო შეიყვანა წყალში. სათამაშოს არაფერი მოუვიდა. მეორე დღეს სათვალემაც გადაწყვიტა სათამაშო ყიდვა, მაგრამ ის სუსტი აღმოჩნდა, ზღვაში შესვლისთანავე ჩაიძირა. ფეხსაცმელმა თავმომწონედ და დამცინავად უთხრა: არაფერია, მთავარი ჩემს სათამაშოს არაფერი მოუვიდა.

მესამე დღეს კი ფეხსაცმელსაც ჩაეძირა სათამაშო ზღვაში. სათვალემ კარგად იცოდა ცურვა და ყვინთვა. მართალია, თავისი სათამაშოს გადარჩენა ვერ შეძლო მაგრამ მოახერხა და ფეხსაცმლის სათამაშოს ამოყვანა. ფეხსაცმელმა გაიაზრა თავისი ცუდი საქციელი და სათვალეს ბოდიში მოუხადა, რის შემდეგადაც მათ ძველებურად განაგრძეს მეგობრობა.

საოცრებათა ქვეყანა

ერთ პატარა ბიჭს პლანეტები ძალიან უყვარდა. ის ნატრობდა კოსმოსში წასვლაზე და ახალი პლანეტის აღმოჩენაზე. მისი მამა კოსმონავტი იყო, დედა კი-მოლარე. ერთ დღეს მამამ ბიჭს ჰკითხა:

-გინდა ერთად წავიდეთ კოსმოსში?

-კი, ძალიან მინდა, - უპასუხა ბიჭმა.

ბიჭმა ეს რომ გაიგო, სიხარულით ცას ეწია. რა თქმა უნდა, მამას დასთანხმდა. ხომალდი რომ აფრინდა, ბიჭმა ბედნიერება იგრძნო. იგი აკვირდებოდა ვარსკვლავებს, მთვარეს და პლანეტებს. ამ დროს უცნობი პლანეტა შენიშნა. ბიჭმა ამის თაობაზე უთხრა მამას. მამას გაუკვირდა, პირველად ნახა ასეთი ფერადი პლანეტა, შეუხვია და ხომალდი გააჩერა. პლანეტაზე ხალხი რომ შენიშნეს, მიხვდნენ, რომ იქ ჟანგბადიც იყო. მოიხსნეს ჩაფხუტები, აქ ყველა იღიმოდა. გაუკვირდათ კოსმონავტებს, ეს მათი უცნაური აღმოჩენა იყო. იქ მყოფმა ადამიანებმა აუხსნეს, რომ ეს „ღიმილის პლანეტა“ იყო. აქ მოწყენილი არავინ დადის, ყველა იღიმის ამ პლანეტაზე, მაგრამ ჩვენ მტერიც გვყავს. აი, ის შავი პლანეტაა ჩვენი მტერი, „მოწყენეთის პლანეტა“. იქ სულ მოწყენილები დადიან, მხიარულს ვერავის ნახავთ. ჰოდა, ჩვენ უნდა ვიომოთ და ამისთვის ვემზადებით. მამამ თქვა, მე უნდა დავაკვირდე, რას ამზადებენ, რომ თქვენ კარგად იომოთ და დაამარცხოთ ,,მოწყენეთის პლანეტაო''.

მართლაც, როგორც მამამ დაკვირვების შემდეგ დაარიგა, „ღიმილის პლანეტაზე“ ისე მოემზადნენ და ომიც მოიგეს.

„ღიმილის პლანეტაზე“ მცხოვრებმა ადამიანებმა მამას მადლობა გადაუხადეს და ბევრი ტკბილეული გამოატანეს თავის პლანეტაზე.

ერთი დღე სხვა პლანეტაზე

ერთი ბიჭი, სახელად დემეტრე, ცხოვრობდა ულამაზეს სოფელში მშობლებთან ერთად. იგი სწავლასთან ერთად მშობლებს ეხმარებოდა სხვადასხვა საქმის კეთებაში.

დემეტრე სკოლა „ჭუჭრუტანაში“ სწავლობდა. მოსწონდა გაკვეთილები, მეცადინეობა და მეგობრებთან ერთად გართობა. სურდა შეეძინა ბევრი მეგობარი.

ერთ ღამეს როდესაც ჩაეძინა, უცნაური სიზმარი ნახა, ვითომ სხვა პლანეტაზე სახელად „სლიპზე“ აღმოჩნდა. ნახა უამრავი უცხოპლანეტელი. თავდაპირველად შეეშინდა, შემდეგ კი თანდათან დაუახლოვდა და გაიგო მათი არსებობის შესახებ. უცხოპლანეტელები გამოელაპარაკენ და უთხრეს, რომ არსებობდა სხვა სამყარო/პლანეტა დედამიწის გარდა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. დაათვალიერებინეს ულამაზესი მთები, ჩანჩქერები, ზღვები და მდინარეები. ამ პლანეტაზე სიმშვიდე სუფევდა.

გამოეღვიძა, გაიღიმა და დიდი სურვილი გაუჩნდა ამ სამყაროს სინამდვილეში ნახვის. დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ შეექმნა მომავალში მსგავსი სამყარო თავის მეგობრებთან ერთად. სამყარო, სადაც ყველაფერი ფერადი და ლამაზი იქნებოდა. ყველა ბედნიერი და გაღიმებული იქნებოდა.

ერთი დღე სხვა პლანეტაზე

არის ერთი ქალაქი, რომელსაც ლონდონფუსტა ჰქვია. მე ამ ქალაქში ვცხოვრობ. მას ერთხელ უცხოპლანეტელკუნა, სახელად კვარა ესტუმრა. მე დავინახე, კვარა როგორ შემოვიდა ჩემს ოთახში, ნახატები დაათვალიერა. ესენი იყო პლანეტები: იუპიტერკუნა, მარსიკუნა და მერკურუნა. კვარა მაშინვე მიხვდა, რომ მე სხვა პლანეტაზე წასვლა მინდოდა. ეს ჩემი ოცნება იყო. ამიტომ როდესაც შემომთავაზა სხვა პლანეტაზე გაფრენა, სიხარულით დავთანხმდი და ხომალდუკუნით გავეშურეთ იუპიტერკუნაზე.

იუპიტერკუნაზე ძალიან გავერთეთ, ფეხბურთიც ვითამაშეთ, ვიცეკვეთ, ვიმხიარულეთ, გამოცანები და სასაცილო ამბები მოვუყევით ერთმანეთს, ფერადი ნაყინებიც მივირთვით ამ საოცარ ფერად პლანეტაზე და ბოლოს რესტორან „იუპიტერში“ ვივახშმეთ. კვარამ თავისი მაისური მაჩუქა. იუპიტერკუნაზე არასდროს ღამდება. მე ვერც ვიგრძნობდი დაღამებას, რომ არა მშობლების მონატრება. ამიტომ დავბრუნდი ჩემს პლანეტაზე. ჩავეხუტე ჩემს დაიკოს და დავიძინე ტკბილად.

საოცრებათა ქვეყანა

იყო ერთი ქვეყანა, რომელსაც ერქვა საოცარი ქვეყანა. იქ იყო ერთი დიდი სასახლე, რომელშიც ცხოვრობდა მეფე, დედოფალი და პრინცესა. მათი მდინარე ისეთი იყო, ყველა დაავადებას კურნავდა და არჩენდა.

ერთ დღეს პრინცესა ცუდად გახდა და მაღალი სიცხეები აწუხებდა. დედა და მამა ნერვიულობდნენ. მეფემ დაავალა ერთ უძლიერეს მებრძოლს, რომ მათი ჯადოსნური მდინარიდან წყალი მოეტანა. მებრძოლი დათანხმდა. აიღო თავისი რკინის აბჯარი, ხმალი, ფარი და მოახტა ცხენს რომელსაც მისნაირი აბჯარი ეცვა.

მიადგა მდინარეს.

მან დაინახა დრაკონი, რომელიც წყალს სვამდა მდინარიდან. მებრძოლი არ შეშინდა და მაშინვე შეტევაზე გადავიდა. დრაკონმა შეამჩნია ის და მაშინვე გამოაფქრვია ცეცხლი. რაინდს ისეთი ფარი ჰქონდ,ა ვერაფერი დააკლო, რადგანაც მოჯადოებული იყო.

დრაკონი დანებდა. მათ ერთად მიუტანეს მეფეს წყალი და გამოაკეთეს პრინცესა.



საოცრებათა ქვეყანა

ერთ დღეს მე და ჩემმა ოჯახმა გასართობად პიკნიკზე წასვლა გადავწყვიტეთ. ულამაზესი და უდიდესი ტრიალი მინდორი იყო, რომელიც სავსე იყო ფერად-ფერადი ყვავილებით. ამ მინდორზე ერთი მაღალი და გრძელტოტება ნატვრის ხე იყო. მე და ჩემ პატარა დაიკოს დედამ გვითხრა, რომ წახემსების შემდეგ თუ მოგვინდებოდა, ამ ხესთან მივსულიყავით, სურვილი ჩაგვეფიქრებინა და ეს სურვილი აუცილებლად აგვიხდებოდა.

ჩვენ ასეც მოვიქეცით, როდესაც საკვები მივირთვით ნატვრის ხესთან მივედით ხელი დავადეთ და სურვილები ჩავიფიქრეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ რაღაც ძალამ ყველანი გაგვთიშა, როცა გონს მოვედით, სრულიად უცხო და ზღაპრულ ქვეყანაში ვიყავით. ჩემმა დამ ნიტამ ყვირილი დაიწყო და ძალიან უხაროდა, იგი გაუჩერებლად იმეორებდა: ასრულდაა! ასრულდააა! სურვილი ასრულდაა! მე გაკვირვებული ვიყურებოდი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ნიტას სურვილი ტკბილეულობის ქვეყანაში მოხვედრა იყო. აქ დიდხანს ვისეირნეთ, სახლები, გზები, ხეები, მანქანები, მაღაზიები, ყველაფერი შოკოლადის იყო. ძალიან კარგი და დაუვიწყარი დრო გავატარეთ.

დედა ყოველთვის იმას გვეუბნებოდა, რომ რასაც გულით ჩავიფიქრებდით აუცილებლად აგვიხდებოდა. ახლაც სწორედ ასე მოხდა და ჩვენი დიდი სურვილი რეალობად იქცა.

ერთი დღე სხვა პლანეტაზე

იყო ორი მეგობარი, ჟოლო და მარწყვი. ისინი ერთმანეთისაგან ძალიან გასხვავდებოდნენ, მაგრამ ერთად ძალიან ბედნიერები იყვნენ.

ერთ დღეს მარწყვმა ჟოლო სახლში დაპატიჟა, ჟოლომ თავისი ნივთები ჩაალაგა და მარწყვს ესტუმრა, მეგობრები ძალიან კარგად გაერთნენ, დაიღალნენ და დასაძინებლად წავიდნენ. შუაღამისას ისინი ჩხვლეტამ გააღვიძა და აღმოაჩინეს, რომ სხვაგან არიან. მათ გარშემო იყვნენ წითელი და იისფერი არსებები, რომლებიც ინგლისურად საუბრობდნენ. საბედნიეროდ, ჟოლომაც და მარწყვმაც ინგლისური კარგად იცოდნენ .

ფერადმა არსებებმა მეგობრებს პლანეტა დაათვალიერებინეს, რომელიც ასევე ფერადი იყო. მანქანები ჰაერში დაფრინავდნენ, ხეები წითელი და ყვითელი იყო .

მეგობრები ძალიან გაერთნენ ფერად არსებებთან ერთად, ამ არსებებს ისე შეუყვარდათ ჟოლო და მარწყვი, რომ გადაწყვიტეს, მათ გამოჰყოლოდნენ და სამუდამოდ მათთან დარჩენილიყვნენ დედამიწაზე.

პრანჭია ფეხსაცმელი

იყო ერთი პრანჭია ფეხსაცმელი, მას ძალიან უყვარდა პრანჭიაობა. ხან რომელ მძივს მოირგებდა და ხან- რომელს. ხანაც კი ლამაზი ძვირფასი ქვებით მოირთვებოდა. მას ძალიან ბევრი მეგობარი ფეხსაცმელი ჰყავდა. მაგრამ განსაკუთრებულად უყვარდა მისი ყველაზე პატარა მეგობარი ფეხსაცმელუკა. მას ისე ძალიან უყვარდა ის, რომ ცდილობდა მასთან ერთად ესეირნა და დაძინების დროსაც კი გვერდით ჰყოლოდა.

ერთხელაც ისე მოხდა, რომ ფეხსაცმელს თავისი უსაყვარლესი მეგობარი დაეკარგა, მაგრამ ისევ პრანჭვა გააგრძელა და მოძებნა მეორე დღისთვის გადადო. თუმცა რომ მოსაღამოვდა და დაძინების დრო მოვიდა, მის გარეშე ვერ დაიძინა. მიხვდა, რომ ძალიან მოენატრა. ადგა და შეუდგა ძებნას. ფეხსაცმელმა ყველგან ეძება თავისი მეგობარი: ეზოში, სახლში, სათამაშოების ყუთშიც კი ჩაიხედა, მაგრამ ვერსად ნახა. დაღონებული დაბრუნდა თავის საწოლში და მთელი ღამე მეგობარზე ფიქრობდა.

დილით ადრე გაიღვიძა. აივანზე გავიდა და შენიშნ,ა რომ მისი მეგობარი ვიღაცას სარეცხის თოკზე სამაგრებით დაეპატიმრებინა. ფეხსაცმელმა მაშინვე მოხსნა მეგობარს სამაგრები, გაათავისუფლა და გულში ჩაიკრა.

პრანჭია ფეხსაცმელი

ერთ ქალაქში ცხოვრობდა ძალიან პრანჭია ფეხსაცმელი. მისი მეგობარი ჭრელი წინდა იყო. ისინი ძალიან კარგი მეგობრები იყვნენ. ერთ დღესაც ფეხსაცმელმა გადაწყვიტ,ა თავის მეგობართან ერთად სამოგზაუროდ წასულიყო. ასეც მოიქცნენ, ისინი წავიდნენ საფრანგეთში. იქაურობა ძალიან მოეწონათ, მაგრამ ფეხსაცმელმა უეცრად აღმოაჩინა, რომ მისი საყვარელი სათამაშო თვითმფრინავში დარჩა. ფეხსაცმელს ეს ამბავი ძალიან ეწყინა და ამის გამო ჩოჩქოლი ატეხა. მისი მეგობარი წინდა აწყნარებდა, მაგრამ ის მაინც ტიროდა. წინდამ შესთავაზა, რომ აეროპორტში დაბრუნებულიყვნენ. ასეც მოიქცნენ, მაგრამ თვითმფრინავი უკვე წასული იყო. ძალიან ბევრი იფიქრეს და მოიფიქრეს, რომ კიდევ ერთხელ აეღოთ ბილეთები იგივე დროს და იგივე ადგილას, აიღეს ბილეთები და მხიარულად წავიდნენ სახლისკენ.

გავიდა ორი დღე. უკვე წასვლის დრო იყო. წინდა და ფეხსაცმელი გამოიპრანჭნენ, ჩაალაგეს ბარგი და წავიდნენ აეროპორტში. გაიარეს შემოწმება შევიდნენ თვითმფრინავში და ჰოი, საოცრება, ფეხსაცმლის საყვარელი სათამაშო იქ დახვდათ. ისინი ჩავიდნენ საქართველოში, კერძო თბილისში. ფეხსაცმელი ძალიან ბედნიერი იყო და ამავდროულად დაღლილიც, ამიტომ მის მეგობარს დაემშვიდობა და გაუდგა გზას.

ეს წინდა და ფეხსაცმელი მთელს ქალაქში, უფრო სწორად, მთელ დედამიწაზე ყველაზე კარგი და საუკეთესო მეგობრები იყვნენ.

ერთი დღე სხვა პლანეტაზე

იყო ერთი ბიჭუნა, სახელად კიკო. კიკოს ძალიან სურდა კოსმონავტი გამოსულიყო, რათა ყველა პლანეტაზე ემოგზაურა.

წლების შემდეგ კიკომ თავისი სურვილი აიხდინა და კოსმონავტი გამოვიდა. დადგა ის ნანატრი დღეც, როდესაც კიკო რაკეტაში უნდა ჩამჯდარიყო და გალაქტიკაში ემოგზაურა. რაკეტა აფრინდა, ცოტა ხნის შემდეგ რაკეტამ უეცრად დააფცხიკინა და სხვა გალაქტიკაში მოხვდა. კიკო ძალიან შეშინდა, არ იცოდა რა მოელოდა....

ახლა იმ გალაქტიკაზე გიამბობთ, სადაც კიკო დაიკარგა. იმ სამყაროში არის უზარმაზარი პლანეტა, რომელსაც კიმფიტი ჰქვია, ის ჩვეულებრივი პლანეტა არ გეგონოთ, ამბობენ, რომ ათიათას მილიარდ შვიდას კვინტილიონ ბილიონ ხუთას ტრილიარდ ცხრაათას მილიონ ზომას უდრის. კიმფიტზე ჩვეულებრივი სახლები კი არა, ნამცხვრის ფორმის შენობებია, ჩანჩქერი ლიმონათის ჩამოედინება, მიწა შოკოლადისაა, ვარსკვლავები კი- კანფეტის. კიმფიტელები თავიანთ სახლებს უცნაურ, სასაცილო კოდებს ადებენ. მაგალითად: შოკოლადიუუს, კიმფიტიუუს, მიკირტუუს, ვანილიუუს და ა.შ. ამ პლანეტაზე ჩანდა, რომ ყველა ბედნიერი იყო.

კიკო ერთ-ერთ სახლთან მივიდა და დააკაკუნა. კაცმა, სახელად ჟუკრინმა, პაროლი მოსთხოვა, კიკომ, რა თქმა უნდა, პაროლი არ იცოდა. ჟუკრინმა ჭუჭრუტანაში გაიხედა და უცხოპლანეტელი დაინახა, რომელიც არც თუ ისე საშიშად გამოიყურებოდა. გადაწყვიტა, კარი გაეღო და გასაუბრებოდა. კიკომ ყველაფერი დეტალურად უამბო. ჟუკრინმა მასთან დარჩენა შესთავაზა და თან შეჰპირდა რაკეტის შეკეთებას. მან გააცნო თავისი ნაცნობები, დაათვალიერებინა შოკოლადის ფაბრიკები, პლანეტა კიმფიტზე ყველაფერი უამბო. კიკოს იმდენად მოეწონა ეს პლანეტ,ა ვერც კი შეამჩნია ისე გავიდა რამდენიმე თვე. მისი შინ დაბრუნების დროც დადგა, ჩაჯდა რაკეტაში , დაემშვიდობა კიმფიტელებს და შეჰპირდა, რომ ის აუცილებლად დაბრუნდებოდა.

ერთი დღე სხვა პლანეტაზე

იყო ერთი ბიჭი, სახელად გიორგი. ის იყო ძალიან ჭკვიანი ბიჭი. მას ძალიან აინტერესებდა, ცხოვრობდნენ თუ არა სხვა პლანეტაზე ადამიანები. ბიჭი ვერ გაფრინდებოდა სხვა პლანეტაზე, რადგან ის ცხრა წლის იყო. ამიტომაც მან ეს სურვილი თავის სურვილების უბის წიგნაკში ჩაწერა, რომელსაც ყოველთვის და ყველგან თან ატარებდა და კითხულობდა. როცა მას საშუალება უჩნდებოდა, ის ასრულებდა რომელიმე სურვილს.

გავიდა ხანი, გიორგი წამოიზარდა, ის გახდა ოცი წლის. მან გადაშალა თავისი უბის წიგნაკი და გადაწყვიტა, თავისი კოსმოსში გაფრენის სურვილი შეასრულოს. გიო ჩაჯდა რაკეტაში, რომელიც თვითონ ცხრამეტი წლისამ გააკეთა. ის კოსმოსში გაფრინდა. გიო ჯერ „ნარცზე" გაფრინდა. მან იქ ადამიანები ვერ იპოვა. იქ ასევე ძალიან ცხელოდა, ისე ცხელოდა, რომ გიო იძულებული გახდა დაეტოვებინა „ნარცი." მან განაგრძო მოგზაურობა. შემდეგ ის გაფრინდა „O" პლანეტაზე. იქ მას უცხო პლანეტელები შეხვდნენ. შემდეგ ის „ტკბილუსზე' გაფრინდა. იქ ყველაფერი ტკბილი იყო და რაკეტა მიეწება. ის ძლივს აფრინდა.

გიო ახალი აღმოჩენებით დაბრუნდა დედამიწაზე. თუმცა მას ახალი მიზნები და ამოცანები ჰქონდა დასახული. ამჟამად, მან უბის წიგნაკში ჩაწერა: _ „შევქმნა ახალი და დიდი ეკიპაჟი, შევიძინო ყველა საჭირო აღჭურვილობა, გავემგზავრო ჩემი აღმოჩენილი პლანეტების ღრმად გამოსაკვლევად."

საოცრებათა ქვეყანა

იყო და არა იყო რა, ერთ საოცარ ქვეყანაში პატარა გოგონა ცხოვრობდა. იქ ყველაფერი მშვენიერი და ულამაზესი იყო. მინდორი ლამაზი ყვავილებითა და ფერად-ფერადი კენჭებით იყო დაფარული. ხეებს ხილის ნაცვლად შოკოლადები ესხა. დღისით უზარმაზარი შოკოლადის მზე ანათებდა. ღამეს კი-დიდი ბანანის მთვარე და შაქარყინულის ვარსკვლავები. ღრუბლები ცაში თეთრი, ფუმფულა ბამბის ნაყინები იყო.

გოგონას ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო, რომელსაც ,,საოცარი მიკამორა'' ერქვა. ამ ქვეყანას ჭკვიანი მეფე და ულამაზესი დედოფალი ჰყავდა.

გოგონას უყვარდა ხტუნვა-თამაში, ცეკვა და სიმღერა. ძალიან მოსწონდა ფერადი, ბრჭყვიალა კენჭების შეგროვება. ერთხელ ულამაზესი მარგალიტი იპოვა და თავის ძვირფასი კენჭების ყუთში შეინახა. ამის შემდეგ აგროვებდა ფერად მარგალიტებს. ბოლოს გადაწყვიტა, მათგან ლამაზი სამკაულები გაეკეთებინა და დედოფლისთვის მიერთმია.

გოგონას სასახლეში არ უშვებდნენ, მაგრამ კარისკაცებს თვალი მოსჭრა სამკაულების ბრწყინვალებამ და მას გზა დაუთმეს.

დედოფალს ძალიან მოეწონა საჩუქარი. სიხარულით ცას ეწია და როგორც მათ ენაზე იტყვიან ,,ათასორასოთხმოცდაჩვიდმეტი''ოქროს მონეტით დაასაჩუქრა გოგონა.

გახარებული გოგონა შინ ბრუნდებოდა. სიხარულისგან ფერად კენჭებს აქეთ-იქით ისროდა. თავზე იყრიდა. ერთი პირშიც კი ჩაუვარდა და ჰოი, საოცრებავ! ისინი ტკბილი კანფეტები აღმოჩნდა.

ამ ამბავმა მარტო გოგონა კი არა, საოცრებათა ქვეყნის ყველა ბავშვი გააბედნიერა.

ფეხსაცმელი და წინდა

იყო ერთი ფეხსაცმელი და წინდა, რომლებიც ძალიან პრანჭიები იყვნენ. ამავდროულად, საუკეთესო მეგობრებიც. ფეხსაცმელს ჰყავდა ერთი პატარა დათუნია. წინდას შურდა, რომ მას სათამაშო დათუნი ჰყავდა. ერთხელ მან უთხრა ფეხსაცმელს:

-მე შენი მეგობარი აღარ ვიქნები!

ფეხსაცმელმა მის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია. წინდას ძლიერ დასწყდა გული.

გავიდა დღეები. წინდამ გადაწყვიტა, რომ დაემალა ფეხსაცმლის საყვარელი დათუნია. მოსაღამოვდა, ფეხსაცმელს ჩაეძინა. წინდა კი ფხიზლად იყო. წინდამ ფრთხილად გამოაძრო ფეხსაცმელს დათუნია, წავიდა ბაღში და ბუჩქებში დამალა.

გათენდა. დილით ფეხსაცმელს რომ არ დახვდა დათუნია, წინდას ჰკითხა:

-შენ ხომ არ დამიმალე დათუნია?

-არა, მე არ დამიმალავს, - უთხრა წინდამ.

გავიდა დრო. ფეხსაცმელი გავიდა სახლიდან და ბუჩქებში იპოვა დათუნია. მივიდა წინდასთან და ხელახლა ჰკითხა:

-შენ დამიმალე დათუნია?

წინდამ ახლა მართალი უთხრა, კი მე დავმალე, რადგან შენ აღარ მემეგობრებოდიო. ფეხსაცმელი მიხვდა თავის შეცდომას და წინდას ბოდიში მოუხადა. ამის შემდეგ ისევ მეგობრები გახდნენ.

ერთი დღე სხვა პლანეტაზე

იყო ერთი კაცი, სახელად ივერი. მუშაობდა კომპანია ,,ნასაში''. კომპანიამ შეამჩნია ახალი პლანეტა, რომელსაც დაარქვეს ,,მწვანურა'' , რადგან სულ მწვანე იყო. ივერის შესთავაზეს, ხომ არ უნდოდა ყოფილიყო პირველი, ვინც გაფრინდებოდა პლანეტა ,,მწვანურაზე''. ივერი დასთანხმდა.

ივერი კარგად მოემზადა და ორ დღეში გაფრინდა, თუმცა ხომალდში ცოტა შეეშინდა, ძალიან შეწუხდა, მაგრამ გადაფიქრების დრო აღარ ჰქონდა.

ივერი დაფრინდა პლანეტა ,,მწვანურაზე'', დადგა გასაშლელი დიდი სახლი და დროშაც ჩაარჭო. მან წყალი შეამჩნია და ძალიან გაუკვირდა. იცოდა, რომ დედამიწის გარდა წყალი სხვა პლანეტაზე არ იყო. ყველაზე მეტად უცხოპლანეტელების გამოჩენამ გააკვირვა. ისინი რაღაცას ბუტბუტებდნენ: ,,ბზუ-ზიზუ-ზუზუ-ზიზა''.

ივერი უცხოპლანეტელების საუბარს ვერ იგებდა, მაგრამ დამეგობრება მაინც მოახერხეს, დროს საინტერესოდ ატარებდნენ. მაგრამ ერთ დღეს ივერი მოატყუეს და დაიჭირეს. ივერი მათზე გონიერი აღმოჩნდა, გამოიპარა და თავის საყვარელ დედამიწაზე დაბრუნდა.

უკუღმართი ბიჭის ზღაპარი

ერთი ბიჭი, სახელად პეტი, იყო მხიარული და უკუღმართი. დილით რომ ადგებოდა, ხელ-პირს კი არ იბანდა, იჭუჭყიანებდა, თმებს იჩეჩავდა, ფეხსაცმელებს უკუღმა იცვამდა და სკოლაში ისე მიდიოდა. ბავშვები დასცინოდნენ, მაგრამ პეტი ყურადღებას არ აქცევდა. მას ჰყავდა მეგობარი, სახელად რუკი.

ერთ კვირა დღეს პეტიმ რუკი თავისთან დაპატიჟა. ისინი ჯერ ეზოში გავიდნენ, პეტის ცხენზე დასხდნენ და აქეთ-იქით დაარბენინებდნენ. როცა დაღამდა, ბავშვებმა ცხენს წყალი დაუსხეს, თვითონ კი სახლში შევიდნენ. პეტის თავის არეულ საწოლში ჩაეძინა, რუკის კი-სავარძელში.

შუაღამე იყო, როცა ბავშვებს გაეღვიძათ. მათ დაინახეს, რომ კარებთან ვიღაც იდგა. შეეშინდათ და ისე ხმამაღლა დაიკივლეს, რომ მთელმა სოფელმა გაიღვიძა. თურმე პეტის ცხენს მოშიებოდა და საჭმლისთვის მოსულიყო.

ამ ამბავზე ყველამ ბევრი იცინა და რაც მთავარია, ამის შემდეგ პეტის უკუღმართობა სადღაც გაქრა.